4.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი აჭიანურებს მომსახურების განხორციელებას და ირღვევა სახელშეკრულებო ვადები, დამკვეთი უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და ასევე მოსთხოვოს შემსრულებელს პირგასამტეხლოს გადახდა სახელშეკრულებო თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.3. თუ შემსრულებლის მიერ მომსახურების გაწევა დაგვიანდა 1 (ერთ) კალენდარულ კვირაზე მეტი ვადით, დამკვეთი პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნის გარდა უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება ხელშეკრულების მოშლისათვის დადგენილი ვადების დაცვის გარეშე.

## მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი ვადამდე ადრე მოშლის პირობები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება არის ერთჯერადი ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ***2013 წლის "20" სექტემბრის ჩათვლით.*** წინამდებარე ხელშეკრულება ავტომატურად წყდება მხარეთა მიერ აღნიშნული ვალდებულებების შესრულებისთანავე.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულება კონფიდენციალურობის დაცვის პუნქტში გრძელდება ამავე პუნქტში მითითებული ვადის გათვალისწინებით. დაუშვებელია კონფიდენციალურობის ვალდებულების დაცვისთვის დადგენილი ვადის ვადემდე შეწყვეტა.

5.3. ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შემთხვევაში უნდა შედგეს წერილობითი დოკუმენტი, სადაც მხარეები თავიანთი ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით წერილობითი ფორმით დააფიქსირებენ მათ მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების/შეუსრულებლობის შესახებ, ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს და ასეთი ფაქტის დადგომის ნამდვილობას და ძალაში შესვლას.

## მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. მხარეები კისრულობენ პასუხისმგებლობას დროულად შეასრულონ ნაკისრი მოვალეობები და აღნიშნული მოვალეობების შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ერთმანეთის წინაშე პასუხი აგონ წინამდებარე ხელშეკრულების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ ადგილი აქვს ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მოვლენებს.

## მუხლი 7. კონფიდენციალურობა

7.1. შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას და არ გაახმაუროს წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული ინფორმაცია (როგორც კომერციული ისე არაკომერციული).

7.2. შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა და არ გაახმაუროს კონფიდენციალური/კომერციული ინფორმაცია მაშინაც კი თუ ის შეწყვეტავს დამკვეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობას.

## მუხლი 8. ფორს მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივი ან სრული შეუსრულებლობისათვის, თუ ის იყო გამოწვეული გადაულახავი გარემოებებით – ხანძრით, წყალდიდობით, მიწისძვრით, ქარიშხლით, გრიგალით და სხვა ბუნებრივი სტიქიური მოვლენებით; ომით, სამოქალაქო დაუმორჩილებლობით, რევოლუციით,

აჯანყებით, ელექტროენერგიის მასობრივი გათიშვით ან სხვა ისეთი მოვლენებით, რომლებმაც უშუალოდ იმოქმედეს ამ ხელშეკრულების შესრულებაზე.

8.2. შესულების ვადა გადაიდება იმ დროით, რის განმავლობაშიც მოქმედებენ ეს გარემოებები.

## მუხლი 9. სხვა პირობები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე.

## მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

დამკვეთი

მოქალაქე: რამაზ მიქაძე
მის: ქ. თბილისი,
პირადი ნომერი: 01027008135
პირადობის მოწმობის ნომერი: ა 1389779

*რამაზ მიქაძე*

ხელმოწერა ____________

შემსრულებელი

შპს „მშენ-ექსპერტი"
მის: ქ. თბილისი, ნოსტეს ქ. №28
საიდენტიფიკაციო კოდი: 200266559
ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE91BG0000000252938700
დირექტორი:

*მალხაზ წიქარიშვილი*

ხელმოწერა ____________ ბ.ა.

## მიღება-ჩაბარების აქტი 15/13

ქ. თბილისი "30" აგვისტო 2013 წელი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს „მშენ-ექსპერტი" (შემდგომში „შემსრულებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის *მალხაზ წიქარიშვილის* მიერ და მეორეს მხრივ მოქალაქე ***რამაზ მიქაძე*** (შემდგომში „დამკვეთი")

ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს და ვადასტურებთ, რომ შემსრულებლის მიერ შესრულებულია 2013 წლის "27" ივნისის №15/13 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები: ***ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა, მიწის ნაკვეთზე 81.21.05.783 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტის მომზადება.***

ანაზღაურება სამუშაოს შესრულებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია თანხით ***800*** (რვაასი) ***ლარი დღგ-ს ჩათვლით.***

არ არსებობს ურთიერთპრეტენზიები შესრულებულ სამუშაოზე.
ეს აქტი შედგენილია ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებთან.

| ჩააბარა | მიიღო |
|---|---|
| შემსრულებელი: | დამკვეთი: |
| შპს „მშენ-ექსპერტი"-ს | რამაზ მიქაძე |
| დირექტორი: | პ/ნ 01027008135 |
| *მ. წიქარიშვილი* | *რ. მიქაძე* |

# ხელშეკრულება № 17/13

ქ. თბილისი "28" ივნისი 2013 წ

ერთი მხრივ მოქალაქე *ნათიგ გასანოვი* (პ/ნ: 10001006052) (შემდგომში „დამკვეთი"), ხოლო მეორე მხრივ შპს „მშენ-ექსპერტი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 200266559) (შემდგომში „შემსრულებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის, ***მალხაზ წიქარიშვილის*** მიერ გამოხატავენ კეთილ ნებას ითანამშრომლონ და დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დამკვეთის დავალების/დაკვეთის საფუძველზე შემსრულებლის მიერ მომსახურების გაწევა.
1.1. პუნქტში აღნიშნული მომსახურება გულისხმობს ***ბოლნისის რაიონში, ხოფელ ცურტავში, ნათიგ გასანოვის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე №80.01.62.254-ზე კომერციული ობიექტის მოწყობის პროექტის მომზადება.***

1.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან. მომსახურება შემსრულებელმა უნდა შეასრულოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან მიმდინარე წლის "31" ივლისის ჩათვლით.

## მუხლი 2. ანგარიშსწორების პირობები

2.1. მომსახურების სრულყოფილი გაწევისათვის დამკვეთი შემსრულებელს გადაუხდის სახელშეკრულებო თანხას, რომელიც განისაზღვრება *1 200 (ერთი ათას ორასი) ლარით დღგ-ს ჩათვლით.*

2.2. სახელშეკრულებო თანხის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში, ლარში, შემსრულებლის კუთვნილ საბანკო რეკვიზიტებზე, რომელიც მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლში.

2.3. სახელშეკრულებო თანხის გადახდა უნდა მოხდეს წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის და/ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სათანადო ფინანსური დოკუმენტის საფუძველზე 5 სამუშაო დღის ვადაში.

2.4. დამკვეთის მხრიდან 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის გამო, შემსრულებელი უფლებამოსილია მოთხოვოს დამკვეთს პირგასამტეხლოს გადახდა სახელშეკრულებო თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## მუხლი 3. მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობები

*შემსრულებელი:*

3.1. შემსრულებელი დამკვეთის დავალების/დაკვეთის საფუძველზე ვალდებულია გაუწიოს დამკვეთს 1 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება, რომელიც უნდა იყოს შესრულებული პროფესიონალურად, საქართველოს კანონმდებოლობისა და ამ ხელშეკრულების ნორმების დაცვით.

3.2. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს გადასცეს დასკვნა ალბომის სახით (2 ეგზემპლიარი).

3.3. შემსრულებელი ვალდებულია შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ცვლილებები შეიტანოს დასკვნაში.

*დამკვეთი:*

3.4. დამკვეთი თავის მხრივ ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს სახელშეკრულებო თანხა მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვადებითა და ოდენობით.

3.5. დამკვეთი უფლებამოსილია შეატყობინოს შემსრულებელს იმ მოსალოდნელი პრობლემების შესახებ, რამაც შესაძლოა დააბრკოლოს დამკვეთი სახელშეკრულებო თანხის გადახდისაგან.

## მუხლი 4. საგარანტიო პირობები

4.1. შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ სახელშეკრულებო საგანი იქნება შესრულებული პროფესიონალურად და დათქმულ ვადებში.

4.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი აჭიანურებს მომსახურების განხორციელებას და ირღვევა სახელშეკრულებო ვადები, დამკვეთი უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და ასევე მოსთხოვოს შემსრულებელს პირგასამტეხლოს გადახდა სახელშეკრულებო თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.3. თუ შემსრულებლის მიერ მომსახურების გაწევა დაგვიანდა 1 (ერთ) კალენდარულ კვირაზე მეტი ვადით, დამკვეთი პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნის გარდა უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება ხელშეკრულების მოშლისათვის დადგენილი ვადების დაცვის გარეშე.

## მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი ვადამდე ადრე მოშლის პირობები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება არის ერთჯერადი ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ***2013 წლის "31" ივლისის ჩათვლით.*** წინამდებარე ხელშეკრულება ავტომატურად წყდება მხარეთა მიერ აღნიშნული ვალდებულებების შესრულებისთანავე.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულება კონფიდენციალურობის დაცვის პუნქტში გრძელდება ამავე პუნქტში მითითებული ვადის გათვალისწინებით. დაუშვებელია კონფიდენციალურობის ვალდებულების დაცვისთვის დადგენილი ვადის ვადემდე შეწყვეტა.

5.3. ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შემთხვევაში უნდა შედგეს წერილობითი დოკუმენტი, სადაც მხარეები თავიანთი ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით წერილობითი ფორმით დააფიქსირებენ მათ მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების/შეუსრულებლობის შესახებ, ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს და ასეთი ფაქტის დადგომის ნამდვილობას და ძალაში შესვლას.

## მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. მხარეები კისრულობენ პასუხისმგებლობას დროულად შეასრულონ ნაკისრი მოვალეობები და აღნიშნული მოვალეობების შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ერთმანეთის წინაშე პასუხი აგონ წინამდებარე ხელშეკრულების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ ადგილი აქვს ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მოვლენებს.

## მუხლი 7. კონფიდენციალურობა

7.1. შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას და არ გაახმაუროს წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული ინფორმაცია (როგორც კომერციული ისე არაკომერციული).

7.2. შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა და არ გაახმაუროს კონფიდენციალური/კომერციული ინფორმაცია მაშინაც კი თუ ის შეწყვეტავს დამკვეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობას.

## მუხლი 8. ფორს მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივი ან სრული შეუსრულებლობისათვის, თუ ის იყო გამოწვეული გადაულახავი გარემოებებით – ხანძრით, წყალდიდობით, მიწისძვრით, ქარიშხლით, გრიგალით და სხვა ბუნებრივი სტიქიური მოვლენებით; ომით, სამოქალაქო დაუმორჩილებლობით, რევოლუციით,

აჯანყებით, ელექტროენერგიის მასობრივი გათიშვით ან სხვა ისეთი მოვლენებით, რომლებმაც უშუალოდ იმოქმედეს ამ ხელშეკრულების შესრულებაზე.

8.2. შესრულების ვადა გადაიდება იმ დროით, რის განმავლობაშიც მოქმედებენ ეს გარემოებები.

## მუხლი 9. სხვა პირობები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე.

## მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

დამკვეთი

მოქალაქე: ნათიგ გასანოვი
მის: ბოლნისის რ-ნი
პირადი ნომერი: 10001006052
ID ნომერი: 11IA58679

*ნათიგ გასანოვი*

ხელმოწერა

შემსრულებელი

შპს „მშენ-ექსპერტი"
მის: ქ. თბილისი, ნოსტეს ქ. №28
საიდენტიფიკაციო კოდი: 200266559
ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE91BG0000000252938700
დირექტორი:

*მალხაზ წიქარიშვილი*

ხელმოწერა

## მიღება-ჩაბარების აქტი 17/13

ქ. თბილისი "22" ივლისი 2013 წელი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს „მშენ-ექსპერტი" (შემდგომში „შემსრულებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის *მალხაზ წიქარიშვილის* მიერ და მეორეს მხრივ მოქალაქე *ნათიგ გასანოვი* (შემდგომში „დამკვეთი")

ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს და ვადასტურებთ, რომ შემსრულებლის მიერ შესრულებულია 2013 წლის "28" ივნისის №17/13 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები: ***ბოლნისის რაიონში, სოფელ ცურტავში, ნათიგ გასანოვის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე №80.01.62.254-ზე კომერციული ობიექტის მოწყობის პროექტის მომზადება.***

ანაზღაურება სამუშაოს შესრულებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია თანხით *1 200* (ერთი ათას ორასი) ***ლარი დღგ-ს ჩათვლით.***

არ არსებობს ურთიერთპრეტენზიები შესრულებულ სამუშაოზე.
ეს აქტი შედგენილია ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებთან.

| | |
|---|---|
| ჩააბარა | მიიღო |
| შემსრულებელი: | დამკვეთი: |
| შპს „მშენ-ექსპერტი"-ს | ნათიგ გასანოვი |
| დირექტორი: | პ/ნ 10001086052 |
| *მ. წიქარიშვილი* | *ნ. გასანოვი* |

## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 81

ქ. თეთრიწყარო

03 ივლისი 2013 წელი

ერთის მხრივ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს "მშენ-ექსპერტი" (შემდგომში "მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დანართი №1-ის შესაბამისად, შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვა /71320000-CPV/ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

### 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **14900(თოთხმეტი ათას ცხრაასი)** ლარს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

### 3. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

*„მიმწოდებელი" ვალდებულია*
3.1. 2013 წლის 13 ივლისამდე უზრუნველყოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევა.

*„შემსყიდველი" ვალდებულია:*
3.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის შემდეგ გაფორმებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობებითა და ვადებში.

### 4. ანგარიშსწორება

4.1 უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დასრულების შემდეგ, შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 დღის ვადაში.
4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

### 5. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს გამოვლენილი უზუსტობების აღმოფხვრას და იხდის ჯარიმას, რომელიც შეადგენს სახელშეკრულებო ღირებულების 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
5.2. აღნიშნულ ჯარიმას შემსყიდველი გამოუქვითავს მიმწოდებელს გაწეული მომსახურებისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.3. ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი უხდის მიმწოდებელს გადაუხდელი თანხის 0,5%-ს, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დაწყებული ვადაგადაცილების პირველი დღიდან.

### 6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დასრულების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

### 7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

7.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და ცდილობსგამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორულ გარემოებათა ზეგავლენისაგან.

### 8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### 9. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

9.1 ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს:

- მხარეთა შეთანხმებით;
- ფორს-მაჟორული სიტუაციით;
- ხელშეკრულების ცალმხრივი დარღვევა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

## 10. ინსპექტირების პირობები

10.1 ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი-დავით სამხარაძე.

10.2 გაწეული მომსახურების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება "მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

## 11. დავის გადაწყვეტა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაშია 2013 წლის 03 ივლისიდან 2013 წლის 01 სექტემბრამდე.

## 13. მხარეთა იურიდიული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
მის: ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. N34,
ს/კოდი: 230869254
ა/ა GE02LB0120116397860000
ს/ს „ლიბერთი ბანკი"-ს
თეთრიწყაროს ფილიალი
ბ/კოდი LBRTGE22

"მიმწოდებელი".
შპს „მშენ-ექსპერტი"
მის: ქ.თბილისი, ნოსტეს ქ. №28
ს/კოდი:200266559
ა/ა № GE91BG0000000252938700
ს/ს „საქართველოს ბანკი"
ცენტრალური ფილიალი
ბ/კოდი BAGAGE22

## 14. მხარეთა ხელმოწერები

გიორგი მესტვირიშვილი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

მალხაზ წიქარიშვილი

შპს „მშენ-ექსპერტი" -ს
დირექტორი

დანართი1

2013 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი სამუშაოთა ჩამონათვალი, რომლებიც საჭიროებენ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას

| # | სოფელი | სამუშაოს დასახელება |
|---|---|---|
| 1 | გოხნარი | სასმელი წყლის რეაბილიტაცია |
| 2 | ზირბითი | შიდა გზების რეაბილიტაცია |
| 3 | საფუძვრები | სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია |
| 4 | ენაგეთი | სარიტუალო დარბაზის მშენებლობის დასრულება |
| 5 | შავსაყდარი | სასმელი წყლის რეაბილიტაცია |
| 6 | ლოუბანი | შიდა გზების რეაბილიტაცია |
| 7 | ერტისი | სარიტუალო დარბაზის მშენებლობა |
| 8 | ვამლოვანი | სარიტუალო დარბაზის მშენებლობა |
| 9 | გოლთეთი | სარიტუალო დარბაზის მშენებლობის დასრულება |
| 10 | დაღეთი | სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია |
| 11 | სამშვილდე | სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია |
| 12 | დიდი დურნუკი | მოსახლეობის სას სამეურნეო სავარგულების შემოღობვა |
| 13 | პატარა დურნუკი | მისასვლელი გზის რეაბილიტაცია |
| 14 | დიდი თონეთი | სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა |
| 15 | პატარა თონეთი | ცენტრ.გზიდან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და შიდა გზების რეაბილიტაცია |
| 16 | მოხისი | ძველი მისასვლელი გზის რეაბილიტაცია |
| 17 | ცხრაკუდაანი | გარე განათება მოწყობა |
| 18 | პატარა ირაგა | სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია |
| 19 | დიდი ირაგა | სასმელი წყლის დებეტის ჩამატება საქაჩი ტუმბოთი(ტუმბოს შეძენა, მონტაჟი) |

| | | |
|---|---|---|
| 20 | ჯიგრაშენი | სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია |
| 21 | ივანოვკა | სოფლის სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია |
| 22 | ალექსეევკა | წყალსადენის ქსელის სათავეების რეაბილიტაცია |
| 23 | მენკალისი | წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია |
| 24 | ნავთიანი | წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია |
| 25 | კოდა | სარიტუალო დარბაზის შეკეთება |
| 26 | მუხათი | მშენებარე სპორტული მოედნის დასრულება |
| 27 | ფაბრიკის დასახლება | გარე განათების რეაბილიტაცია |
| 28 | ი.გ.პ. დასახლება | სარიტუალო დარბაზის დასრულება |
| 29 | დიდი კლდეისი | სოფლის კლუბის შეკეთება |
| 30 | ძველი მარაბდა<br>ახალი მარაბდა | მარაბდის საკრებულოს შენობაში საბავშო ბაღისთვის რემონტის ჩატარება |
| 31 | ქოთიში | სარწყავი წყლის სისტემის რეაბილიტაცია |
| 32 | ორბეთი | სასმელი წყლის ცენტრალური და შიდა ქსელის რეაბილიტაცია |
| 33 | ახალი ზირბითი | სასმელი წყლის ცენტრალური და შიდა ქსელის რეაბილიტაცია |
| 34 | პანტიანი | სასამელი წყლის რეზერვუარის რეაბილიტაცია |
| 35 | ამლივე | სასმელი წყლის რეაბილიტაცია |
| 36 | ღოლოვანი | სასმელი წყლის რეაბილიტაცია |
| 37 | დრე | სასმელი წყლის ქსელის მოწყობა და სასმელი წყლის ავზის შეკეთება |
| 38 | დიდგორი | სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა და მისი მიერთება არსებულ სისტემასთან |
| 39 | შამთა | სასმელი წყლის სათავე ნაგებობის შეკეთება |

| | | |
|---|---|---|
| 40 | ვანათი | სასმელი წყლის დამატებითი ხაზის გამოყვანა |
| 41 | ღვევი | სასმელი წყლის რეზერვუარის შეკეთება |
| 42 | წყრულეთი | სასაფლაოს  და ეკლესიის შემოღობვა |
| 43 | წვერი | მისასვლელი გზის რეაბილიტაცია |
| 44 | შეხვეტილა | სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია |
| 45 | შეხვეტილა | შიდა გზის რეაბილტაცია |
| 46 | ნაპილნარი | მისასვლელი გზის რეაბილიტაცია |
| 47 | ქვემო ჭინჭრიანი | სა`ფლაოს  შემოღობვა |
| 48 | ზემო ჭინჭრიანი | მისასვლელი გზის რეაბილიტაცია |
| 49 | უბუდეთი | მისასვლელი გზის რეაბილიტაცია |
| 50 | მაწევანი | სარიტუალო დარბაზის მოწყობა |
| 51 | აბელიანი | მისასვლელი გზის რეაბილიტაცია |
| 52 | ტბისი | მისასვლელი გზის მოხრეშვა და სანიაღვრეების მოწყობა |
| 53 | ხოპისი | მისასვლელი გზის რეაბილიტაცია |
| 54 | ქსოვრეთი | მისასვლელი გზის რეაბილიტაცია |
| 55 | გუდარეხი | მისასვლელი გზის რეაბილიტაცია |
| 56 | ვაკე | მისასვლელი გზის რეაბილიტაცია |
| 57 | ჭივჭავი | სარწყავი წყლის სათავის  აღდგენა და სისტემის რეაბილიტაცია |
| 58 | დუმანისი | შიდა გზის რეაბილიტაცია |
| 59 | სამღერეთი | შიდა გზების რეაბილიტაცია |
| 60 | შიხილო | სასმელი წყლის ქსელის მოწყობა |
| 61 | იფნარა | სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია |
| 62 | ლიპა | მისასვლელი გზის რეაბილიტაცია |
| 63 | წინწყარო | სარიტუალო სახლის მოწყობა |
| 64 | ქოსალარი | სარიტუალო სახლის მოწყობა |

| | | |
|---|---|---|
| 65 | ხაიში | სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია |
| 66 | ჯორჯაშვილი | სარიტუალო სახლის მოწყობა |
| 67 | ბოგვი | სარიტუალო დარბაზის მშენებლობა |
| 68 | საღრაშენი | სარიტუალო დარბაზის მშენებლობა |
| 69 | აბრამეთი | სასმელი წყლის სისტემის მოწყობა |
| 70 | არდისუბანი | სასმელი წყლის ქსელის მოწყობა |
| 71 | არდისუბანი | სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია |
| 72 | დ. მანგლისი | გარე განათების დასრულება |
| 73 | დ. მანგლისი | ცხაურების მოწყობა |
| 74 | ალგეთი | გარე განათების დასრულება |

გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი დ. სამხარაძე

# მიღება – ჩაბარების აქტი

12 ივლისი 2013წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი: ერთის მხრივ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე გ. მესტვირიშვილი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი დ. სამხარაძე, ხოლო მეორეს მხრივ "შ.პ.ს." მშენ-ექსპერტი"-ს დირექტორი მ. წიქარაშვილი ვადგენთ აქტს მასზედ, რომ შ.პ.ს." მშენ-ექსპერტი"- ს დირექტორმა მ. წიქარაშვილმა ჩააბარა ქ.თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროხს დ. სამხარაძეს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების განსახორციელებელი პროექტების (იხ.დანართი 1) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია თანახმად 2013წ. 03 ივლისის მხარეთა შორის გაფორმებული №81 ხელშეკრულებისა, რომლის ღირებულება შეადგენს 14 900(თოთხმეტიათასცხრაასი) ლარს.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავჯდომარე — გ. მესტვირიშვილი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის

ინფრასტრუქტურის განვითარების და

ტექნიკური უზრუნველყოფის

სამსახურის უფროსი — დ. სამხარაძე

შ.პ.ს. „ მშენ-ექსპერტი" დირექტორი — მ. წიქარაშვილი

# ხელშეკრულება N:279-SMT

ქ. თბილისი 15 ივლისი, 2013

ერთი მხრივ, შპს სამაუწყებლო კომპანია «რუსთავი 2» (შემდგომში „დამკვეთი«,. «რუსთავი 2») წარმოდგენილი მისი ფინანსური დირექტორის, ზურაბ იაშვილის მიერ, ხოლო მეორე მხრივ, შპს „მშენ-ექსპერტი» (შემდგომში „შემსრულებელი») წარმოდგენილი მისი დირექტორის, მალხაზ წიქარიშვილის მიერ თანხმდებიან შემდეგზე:

## მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დამკვეთის მიერ შემსრულებლისთვის სახელშეკრულებო თანხის გადახდა შემდეგი მომსახურების სანაცვლოდ: *ქ. თბილისში სანდრო ეულის N:5ა-ში, მდებარე შენობა №* ----------

- საინჟინრო გეოლოგიური კვლევა
- არქიტექტურული ნაწილის მომზადება
- კონსტრუქციული ნაწილის მომზადება
- მშენებლობის ორგანიზაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება

1.2 1.1 პუნქტში მითითებული სამუშაო უნდა შესრულდეს ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 20 (ოცი) დღის ვადაში.

## მუხლი 2. ანგარიშსწორების პირობები

2.1 მომსახურების სრულყოფილი გაწევისათვის დამკვეთი შემსრულებელს გადაუხდის სახელშეკრულებო თანხას, 4800 (ოთხი ათას რვაასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.2 სახელშეკრულებო თანხის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, შემსრულებლის კუთვნილ საბანკო რეკვიზიტებზე, რომელიც მოცემულია ამ ხელშეკრულებაში.

2.3 სახელშეკრულებო თანხის გადახდა ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში, წარმოდგენილი ინვოისის, ანგარიშ-ფაქტურის და/ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სათანადო ფინანსური დოკუმენტის საფუძველზე.

## მუხლი 3. მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობები

3.1 შემსრულებელი ვალდებულია სახელშეკრულებო ურთიერთობებში იხელმძღვანელოს სახელშეკრულებო გულისხმიერების და კეთილსინდისიერების ფარგლებში.

3.2 დამკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს შემსრულებელს სახელშეკრულებო თანხა მე-2 მუხლით გათვალისწინებული ოდენობით და ვადებში.

3.3 დამკვეთი ვალდებულია შეატყობინოს შემსრულებელს იმ მოსალოდნელი პრობლემების შესახებ, რამაც შესაძლოა დააბრკოლოს დამკვეთი სახელშეკრულებო თანხის გადახდისაგან.

3.4 მხარე ვალდებულია, დაიცვას კონფიდენციალობის ვალდებულება.

## მუხლი 4. საგარანტიო პირობები

4.1 შემსრულებელი ადასტურებს, რომ სახელშეკრულებო საგანი შესრულებულია პროფესიონალურად.

4.2 საინჟინრო გეოლოგიურ კვლევაზე, არქიტექტურული ნაწილის მომზადებაზე, კონსტრუქციული ნაწილის მშენებლობის ორგანიზებაზე, მშენებლობის ორგანიზაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებაზე, მთლიანად ჩატარებულ ყველა სამუშაოზე, შინაარსზე და მისგან გამომდინარე ყველა ფინანსურ-სამართლებრივ შედეგებზე პასუხისმგებელია შემსრულებელი.

4.3 მომსახურების არაჯეროვანი შესრულების და/ან მთლიანად შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამკვეთი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსრულებელს პირგასამტეხლო სახელშეკრულებო თანხის ოდენობით ყოველ დარღვევაზე და ზიანის ანაზღაურება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.4 შემსრულებელი ვალდებდულია, რომ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის საჭირო ნებართვის, ლიცენზიის აღებისათვის თუ კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი პროცედურების დაცვისა და განხორციელებისათვის საჭირო ქმედებების შესასრულებლად დამკვეთის მიერ შესასრულებელ პროცედურებაზე შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს დამკვეთს გონივრული ვადით ადრე და გაუწიოს შესაბამისი კონსულტაციები ასაღებ ნებართვებსა თუ სხვა პროცედურებთან დაკავშირებით.

## მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება არის ერთჯერადი ხელშეკრულება. იგი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მათ მიერ ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულყოფილ შესრულებამდე.

## მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვნად შესრულების (მათ შორის, კონფიდენციალობის ვალდებულების დარღვევის) შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ ადგილი აქვს წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მოვლენებს.

## მუხლი 7. კონფიდენციალურობა

7.1 შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას და არ გაახმაუროს წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული ინფორმაცია (როგორც კომერციული ისე არაკომერციული), ასევე ნებისმიერი სხვა ტიპის ინფორმაცია, რაც ეხება მის სახელშეკრულებო მოვალეობებს ან კონკრეტული სამუშაოს, ან ზოგადად ორგანიზაციის საქმიანობის დეტალების შესახებ, რომელიც მხარემ მიიღო სახელშეკრულებო ურთიერთობების მეშვეობით.

7.2 შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა და არ გაახმაუროს კონფიდენციალური/კომერციული ინფორმაცია მაშინაც კი თუ ის შეწყვეტს დამკვეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობას. აღნიშნული ვალდებულება გრძელდება ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ სახელშეკრულებო საქმიანობასთან დაკავშირებული რაიმე დეტალი, გავრცელებული იქნება შემსრულებლის მიერ ნებისმიერი სახით (ზეპირად თუ წერილობით, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, კონკრეტული პირის ან პირების მიმართ, თუ მასობრივი საშუალებებით, ფართო საზოგადოების მიმართ, მასმედიის ნებისმიერი წყაროთი (მათ შორის ელექტრონული მედია--ინტერნეტი), დამკვეთს უფლება ექნება მოსთხოვოს შემსრულებელს ზიანის ანაზღაურება.

7.4 ინფორმაციის გავრცელება არ ითვლება კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების დარღვევად, თუ ინფორმაციის გავრცელებას მხარეებს პირდაპირ ავალდებულებს კანონი და/ან ზემდგომი ორგანო.

## მუხლი 8. ფორს მაჟორი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივი ან სრული შეუსრულებლობისათვის, თუ ის იყო გამოწვეული დაუძლეველი ძალის (ფორს მაჟორი) მოქმედებით: ხანძრით, წყალდიდობით, მიწისძვრით, ქარიშხალით, გრიგალით და სხვა ბუნებრივი სტიქიური მოვლენებით; ომით, სამოქალაქო დაუმორჩილებლობით, რევოლუციით, აჯანყებით, ელექტროენერგიის მასობრივი გათიშვით ან სხვა ისეთი მოვლენებით, რომლებმაც უშუალოდ იმოქმედეს ამ ხელშეკრულების შესრულებაზე.

8.2 შესრულების ვადა გადაიდება იმ დროით, რის განმავლობაშიც მოქმედებენ ეს გარემოებები.

8.3 ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან თუ ფორსმაჟორს არ მოუხდენია გავლენა მხარეებისთვის მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

## მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების ნორმების არ ცოდნა არ ათავისუფლებს მხარეებს პასუხისმგებლობისაგან

9.2 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული უთანხმოება წყდება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკების შედეგად შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს საქართველოს შესაბამისი განსჯადობის სასამართლო.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი რჩება დამკვეთთან, ხოლო ერთი შემსრულებელთან.

## Mმუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები

<u>დამკვეთი</u>
შპს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"
იურ. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ.45
ფაქტ. მის: ქ. თბილისი, სანდრო ეულის 5ა
სს «თიბისი ბანკი»-ს მარჯანიშვილის ფილ
ს/კ – 211352016
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE09TB1100000018467864 / GEL
ფინანსური დირექტორი
ზურაბ იაშვილი ხელმოწერა______

ლოჯისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
დ. კომლაძე ხელმოწერა______

<u>შემსრულებელი</u>
შპს „მშენ-ექსპერტი»
მის: ქ. თბილისი, ნოსტეს ქ. N:28
საიდენტიფიკაციო ნომერი: 200266559
ბანკი: სს «საქართველოს ბანკი»-ს ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: 220 101 502
ანგარიშის ნომერი: 252938700
დირექტორი
მალხაზ წიქარიშვილი ხელმოწერა______

# მიღება-ჩაბარების აქტი

*(ხელშეკრულება #279-SMT-სთან დაკავშირებით)*

ქ. თბილისი | 29 ივლისი, 2013

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, ერთი მხრივ **შპს „მშენ-ექსპერტი"** („შემსრულებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის, **მალხაზ წიქარიშვილის** მიერ და მეორე მხრივ, **შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"**, წარმოდგენილი მისი ფინანსური დირექტორის, **ზურაბ იაშვილის** მიერ

ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს და ვადასტურებთ, რომ შემსრულებლის მიერ შესრულებულია 2013 წლის 15 ივლისის #279-SMT ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები: ***ქ. თბილისში, სანდრო ეულის ქუჩა #5ა-ში მდებარე შენობა #12:***

- *საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;*
- *არქიტექტურული ნაწილის მომზადება;*
- *კონსტრუქციული ნაწილის მომზადება;*
- *მშენებლობის ორგანიზაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.*

ანაზღაურება სამუშაოს შესრულებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია თანხით ***4800 (ოთხი ათას რვაასი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით.***

ეს აქტი შედგენილია სამი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებთან.

ჩააბარა
შემსრულებელი:
**შპს „მშენ-ექსპერტი"**
დირექტორი:
------------ *მ. წიქარიშვილი*

მიიღო
დამკვეთი:
**შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"**
ფინანსური დირექტორი:
------------ *ზ. იაშვილი*

ლოჯისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:
------------ *დ. კომლაძე*

## ხელშეკრულება № 21/13

ქ. თბილისი "22" ივლისი 2013 წ

ერთი მხრივ მოქალაქე ***ზურაბ ხაინდრავა*** (პ/ნ: 01017015764) (შემდგომში „დამკვეთი"), ხოლო მეორე მხრივ შპს **„მშენ-ექსპერტი"** (საიდენტიფიკაციო კოდი: 200266559) (შემდგომში „შემსრულებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის, ***მალხაზ წიქარიშვილის*** მიერ გამოხატავენ კეთილ ნებას ითანამშრომლონ და დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დამკვეთის დავალების/დაკვეთის საფუძველზე შემსრულებლის მიერ მომსახურების გაწევა.
1.1. პუნქტში აღნიშნული მომსახურება გულისხმობს *ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, დოესის ქ. №65-ში ასაშენებელი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული პროექტის მომზადება.*

1.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან. მომსახურება შემსრულებელმა უნდა შეასრულოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან **მიმდინარე წლის "10" აგვისტოს ჩათვლით.**

### მუხლი 2. ანგარიშსწორების პირობები

2.1. მომსახურების სრულყოფილი გაწევისათვის დამკვეთი შემსრულებელს გადაუხდის სახელშეკრულებო თანხას, რომელიც განისაზღვრება *650 (ექვსას ორმოცდაათი) ლარით დღგ-ს ჩათვლით.*

2.2. სახელშეკრულებო თანხის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში, ლარში, შემსრულებლის კუთვნილ საბანკო რეკვიზიტებზე, რომელიც მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლში.

2.3. სახელშეკრულებო თანხის გადახდა უნდა მოხდეს წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის და/ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სათანადო ფინანსური დოკუმენტის საფუძველზე 5 სამუშაო დღის ვადაში.

2.4. დამკვეთის მხრიდან 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის გამო, შემსრულებელი უფლებამოსილია მოთხოვოს დამკვეთს პირგასამტეხლოს გადახდა სახელშეკრულებო თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

### მუხლი 3. მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობები

*შემსრულებელი:*

3.1. შემსრულებელი დამკვეთის დავალების/დაკვეთის საფუძველზე ვალდებულია გაუწიოს დამკვეთს 1 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება, რომელიც უნდა იყოს შესრულებული პროფესიონალურად, საქართველოს კანონმდებოლობისა და ამ ხელშეკრულების ნორმების დაცვით.

3.2. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს გადასცეს პროექტი ალბომის სახით (2 ეგზემპლიარი).

3.3. შემსრულებელი ვალდებულია შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ცვლილებები შეიტანოს დასკვნაში.

*დამკვეთი:*

3.4. დამკვეთი თავის მხრივ ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს სახელშეკრულებო თანხა მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვადებითა და ოდენობით.

3.5. დამკვეთი უფლებამოსილია შეატყობინოს შემსრულებელს იმ მოსალოდნელი პრობლემების შესახებ, რამაც შესაძლოა დააბრკოლოს დამკვეთი სახელშეკრულებო თანხის გადახდისაგან.

## მუხლი 4. საგარანტიო პირობები

4.1. შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ სახელშეკრულებო საგანი იქნება შესრულებული პროფესიონალურად და დათქმულ ვადებში.

4.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი აჭიანურებს მომსახურების განხორციელებას და ირღვევა სახელშეკრულებო ვადები, დამკვეთი უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და ასევე მოსთხოვოს შემსრულებელს პირგასამტეხლოს გადახდა სახელშეკრულებო თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.3. თუ შემსრულებლის მიერ მომსახურების გაწევა დაგვიანდა 1 (ერთ) კალენდარულ კვირაზე მეტი ვადით, დამკვეთი პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნის გარდა უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება ხელშეკრულების მოშლისათვის დადგენილი ვადების დაცვის გარეშე.

## მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი ვადამდე ადრე მოშლის პირობები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება არის ერთჯერადი ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს *2013 წლის "10" აგვისტოს ჩათვლით.* წინამდებარე ხელშეკრულება ავტომატურად წყდება მხარეთა მიერ აღნიშნული ვალდებულებების შესრულებისთანავე.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულება კონფიდენციალურობის დაცვის პუნქტში გრძელდება ამავე პუნქტში მითითებული ვადის გათვალისწინებით. დაუშვებელია კონფიდენციალურობის ვალდებულების დაცვისთვის დადგენილი ვადის ვადემდე შეწყვეტა.

5.3. ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შემთხვევაში უნდა შედგეს წერილობითი დოკუმენტი, სადაც მხარეები თავიანთი ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით წერილობითი ფორმით დააფიქსირებენ მათ მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების/შეუსრულებლობის შესახებ, ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს და ასეთი ფაქტის დადგომის ნამდვილობას და ძალაში შესვლას.

## მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. მხარეები კისრულობენ პასუხისმგებლობას დროულად შეასრულონ ნაკისრი მოვალეობები და აღნიშნული მოვალეობების შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ერთმანეთის წინაშე პასუხი აგონ წინამდებარე ხელშეკრულების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. მხარეები თავსუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ ადგილი აქვს ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მოვლენებს.

## მუხლი 7. კონფიდენციალურობა

7.1. შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას და არ გაახმაუროს წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული ინფორმაცია (როგორც კომერციული ისე არაკომერციული).

7.2. შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა და არ გაახმაუროს კონფიდენციალური/კომერციული ინფორმაცია მაშინაც კი თუ ის შეწყვეტავს დამკვეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობას.

## მუხლი 8. ფორს მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივი ან სრული შეუსრულებლობისათვის, თუ ის იყო გამოწვეული გადაულახავი გარემოებებით – ხანძრით, წყალდიდობით, მიწისძვრით, ქარიშხლით, გრიგალით და სხვა ბუნებრივი სტიქიური მოვლენებით; ომით, სამოქალაქო დაუმორჩილებლობით, რევოლუციით,

აჯანყებით, ელექტროენერგიის მასობრივი გათიშვით ან სხვა ისეთი მოვლენებით, რომლებმაც უშუალოდ იმოქმედეს ამ ხელშეკრულების შესრულებაზე.

8.2. შესრულების ვადა გადაიდება იმ დროით, რის განმავლობაშიც მოქმედებენ ეს გარემოებები.

## მუხლი 9. სხვა პირობები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე.

## მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

<u>დამკვეთი</u>

მოქალაქე: ზურაბ ხაინდრავა
მის: თბილისი, მელიქიშვილის ქ. №11
პირადი ნომერი: 01017015764
პირადობის მოწმობის ნომერი: გ 0603035

*ზურაბ ხაინდრავა* ხელმოწერა ______

<u>შემსრულებელი</u>

შპს „მშენ-ექსპერტი"
მის: ქ. თბილისი, ნოსტეს ქ. №28
საიდენტიფიკაციო კოდი: 200266559
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE91BG0000000252938700
დირექტორი:

*მალხაზ წიქარიშვილი* ხელმოწერა ______

## მიღება-ჩაბარების აქტი 21/13

ქ. თბილისი "2" აგვისტო 2013 წელი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს „მშენ-ექსპერტი" (შემდგომში „შემსრულებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის *მალხაზ წიქარიშვილის* მიერ და მეორეს მხრივ მოქალაქე *ზურაბ ხაინდრავა* (შემდგომში „დამკვეთი")

ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს და ვადასტურებთ, რომ შემსრულებლის მიერ შესრულებულია 2013 წლის "22" ივლისი №21/13 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები: *ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, დოესის ქ. №65-ში ასაშენებელი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული პროექტის მომზადება.*

ანაზღაურება სამუშაოს შესრულებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია თანხით *650* (ექვსასორმოცდაათი) *ლარი დღგ-ს ჩათვლით.*

არ არსებობს ურთიერთპრეტენზიები შესრულებულ სამუშაოზე.

ეს აქტი შედგენილია ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებთან.

ჩააბარა

შემსრულებელი:

შპს „მშენ-ექსპერტი"-ს

დირექტორი:

*მ. წიქარიშვილი*

მიიღო

დამკვეთი:

ზურაბ ხაინდრავა

პ/ნ 01017015764

*ზ. ხაინდრავა*

Gulf



# მომსახურების ხელშეკრულება

წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება") დადებულია 2013 წლის 25 ივლისს.

| | |
|---|---|
| შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია (შემდგომში „დამკვეთი")<br>იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 34, მე-6 სართული;<br>საიდენტიფიკაციო კოდი: 404391136 ;<br>წარმოდგენილი მინდობილი პირის, დავით უშვერიძის მიერ | შპს „მშენ-ექსპერტი" (შემდგომში „შემსრულებელი")<br>იურიდიული მისამართი: თბილისი, ნოსტეს ქ., № 28<br>საიდენტიფიკაციო კოდი: 200266559<br>ბანკი: სს საქართველოს ბანკი<br>ა.ა. GE91BG 00 0000 0252 9387 00<br>წარმოდგენილი მისი დირექტორის, მალხაზ წიქარიშვილის მიერ |

(ცალ-ცალკე „დამკვეთი" და „შემსრულებელი" მოიხსენიებიან, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად, როგორც „მხარეები")

## 1. „ხელშეკრულების" საგანი და „მომსახურების" გაწევა

1.1. წინამდებარე „ხელშეკრულების" საფუძველზე და მისი პირობების გათვალისწინებით, „შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას, უზრუნველყოს ნავთობ-პროდუქტების საცავის (რომელიც განთავსებულია „დამკვეთის" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქ. ბათუმში, ურეხი, ხახულის ქუჩა 7-11) დემონტაჟის პროექტის ექსპერტიზა (შემდგომში „მომსახურება"). ექსპერტიზის შედეგად, „შემსრულებელმა" უნდა წარუდგინოს „დამკვეთს" ისეთი დასკვნა (დადებითი პასუხი), რომ ზემოთ ნავთობ-პროდუქტების საცავის დემონტაჟის პროექტი ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეთანხმდეს შესაბამის უწყებებში.

1.2. „შემსრულებელი" ვალდებულია „მომსახურების" გაწევა დაასრულოს არაუგვიანეს 2013 წლის 04 აგვისტოსი („მომსახურების გაწევის ვადა"). „შემსრულებლის" მიერ „მომსახურების გაწევის ვადის" დარღვევად არ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც „მომსახურების" გაწევა ვერ ხორციელდება „დამკვეთის" ან და შესაბამისი პროექტის ავტორ(ებ)ის ბრალით. ასეთ შემთხვევაში, „მომსახურების გაწევის ვადა" გაიზრდება „მომსახურების" გაწევის შეფერხების დღეების პროპორციულად.

## 2. „ხელშეკრულების" მოქმედების ვადა და ანგარიშსწორების წესი

2.1. წინამდებარე „ხელშეკრულება" ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს „მხარეთა" მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

2.2. წინამდებარე „ხელშეკრულებით" განსაზღვრული „მომსახურების" შესრულებისათვის, „დამკვეთი" „შემსრულებელს" უხდის ანაზღაურებას (შემდგომში „ანაზღაურება") 1180 (ათას ას ოთხმოცი) ლარის ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით.

2.3 „ანაზღაურება" გადაიხდება „მომსახურების" სრულად გაწევის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ორმხრივად ხელმოწერისა და „შემსრულებლის" მიერ შესაბამისი ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში.

2.4. „ანაზღაურების" გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, „შემსრულებლის" მიერ წარმოდგენილი საბანკო ანგარიშის მიხედვით. „ანაზღაურების" ოდენობა გაზრდას არ ექვემდებარება.

## 3. „მხარეთა" უფლება-მოვალეობები

3.1. „დამკვეთი" ვალდებულია:

3.1.1. უზრუნველყოს შესაბამისი „ანაზღაურების" გადახდა ამ „ხელშეკრულების" მეორე მუხლის დებულებების შესაბამისად.

3.1.2. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ამ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებები.

3.2. „შემსრულებელი" ვალდებულია:

3.2.1. „მომსახურება" გასწიოს სრულად და „ხელშეკრულებით" განსაზღვრულ ვადებში.

3.2.2. შეასრულოს „მომსახურება "მხოლოდ იმ პირობით, რომ ამგვარი "მომსახურება" იქნება უნაკლო (ნივთობრივად და უფლებრივად) და თავისუფალი ყოველგვარი ვალდებულებებისაგან.

3.2.3. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ამ „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები.

3.2.4. ხელშეკრულებით" განსაზღვრული სამუშაოების შესრულების პერიოდში უზრუნველყოს „მომსახურების" უშუალოდ შემსრულებელ პირთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა ან/და თვითონ უზრუნველყოს და აიღოს სრული პასუხისმგებლობა ასეთ პირთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხელყოფაზე და მისგან გამომდინარე ნებისმიერ ზიანსა თუ ზარალზე, როგორც სამუშაოთა შემსრულებლის ისე „დამკვეთის" ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიმართ.

3.3. „დამკვეთი" უფლებამოსილია:

3.3.1. „მომსახურების" შესრულების პერიოდში შეამოწმოს „მომსახურების" გაწევის მიმდინარეობა და მიიღოს ყველა საჭირო ინფორმაცია „მომსახურების" მიმდინარეობის შესახებ. ასევე გამოყოს პასუხისმგებელი პირი „მომსახურების" დასრულებისას შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გასაფორმებლად.

3.3.2. ხელი არ მოაწეროს „მომსახურების" მიღება-ჩაბარების აქტს იმ შემთხვევაში, თუ „მომსახურება" ან/და „მომსახურების" ხარისხი არ შეესაბამება „ხელშეკრულებით" გათვალისწინებულ პირობებს.

3.3.3. წინასწარი წერილობითი შეტყობინებით ვადამდე შეწყვიტოს „ხელშეკრულება," თუ „შემსრულებლის" მიერ „მომსახურების" შესრულების გრაფიკი ან/და ფაქტიურად შესრულებული „მომსახურება" არ შეესაბამება „ხელშეკრულების" პირობებს ან/და არ იძლევა მისი ვადაში შესრულების რეალურ გარანტიას. ასეთი შეწყვეტის შემთხვევაში, „დამკვეთი" ვალდებულია

დამკვეთი

შემსრულებელი

„შემსრულებელს" სრულად აუნაზღაუროს „შემსრულებლის" მიერ „ხელშეკრულების" შეწყვეტამდე ფაქტობრივად განხორციელებული და „დამკვეთის" მიერ მიღებული „მომსახურების" ღირებულება

3.3.4. გამოიყენოს „ხელშეკრულებით" და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

3.4. „შემსრულებელი" უფლებამოსილია:

3.4.1. გამოიყენოს ამ „ხელშეკრულებითა" და კანონმდებლობ ით მისთვის მინიჭებული უფლებები.

## 4. მხარეთა პასუხისმგებლობა და გარანტიები

4.1. "შემსრულებლის" მიერ "ხელშეკრულებაში" განსაზღვრული ვადი(ებ)ის დარღვევის ან/და "მომსახურების" არასრულად მიწოდების შემთხვევაში, „დამკვეთი" უფლებამოსილია "შემსრულებელს" დააკისროს პირგასამტეხლო "ანაზღაურების" 0.1%-ს ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. ხოლო თუ ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდა 2 კვირის განმავლობაში „დამკვეთი" უფლებამოსილია "შემსრულებლის" წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს ფაქტიურად გადახდილი თანხების სრულად დაბრუნება. ამასთანავე, "მომსახურების" გაწევის ვადის დარღვევის ან/და არასრულად მიწოდების შემთხვევაში "დამკვეთი" უფლებამოსილია "შემსრულებელს" „ანაზღაურებიდან" გამოუქვითოს შესაბამისი პირგასამტეხლოს თანხები. პირგასამტეხლოების გადახდა "შემსრულებელს" არ ათავისუფლებს "ხელშეკრულებით" ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან.

4.2. "მხარეები" თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ "მომსახურების" ხარისხი არ შეესაბამება წინამდებარე "ხელშეკრულებით" (მისი დანართებით) განსაზღვრულ და ზოგადად ამგვარი "მომსახურებისათვის" აღიარებულ ტექნიკურ და სხვა ნორმებს, "შემსრულებელი" "დამკვეთის" წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად ვალდებულია საკუთარი ხარჯით გამოასწოროს ამგვარი შეუსაბამობა დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

4.3. „მხარეები" თანხმდებიან, რომ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული პირგასამტეხლო(ები)ს დაკისრება წარმოადგენს „მხარის" უფლებას და არა ვალდებულებას დამრღვევი „მხარის" მიმართ. „ხელშეკრულებით" განსაზღვრული პირგასამტეხლო(ები)ს მიღების უფლება მხოლოდ „მხარისათვის" მოპოვებულად ითვლება და შესაბამისი თანხა ექვემდებარება გადახდას, დამრღვევი „მხარისათვის" წინასწარი წერილობითი მოთხოვნის წარდგენის შემდეგ; ამასთან პირგასამტეხლოს ოდენობის დარიცხვა განხორციელდება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მიუხედავად წერილობითი მოთხოვნის გაგზავნის თარიღისა.

4.4. „მხარეები" თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა/არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით/გარემოებებით, რომელთა დადგომისას/არსებობისას „მხარე", მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მოკლებული იყო შესაძლებლობას ჯეროვნად შეესრულებინა ამ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებები. აღნიშნულ დაუძლეველ გარემოებებს განეკუთვნება (მაგრამ არ შემოიფარგლება): ყველა სახის სტიქიური უბედურება მიწისძვრა, წყალდიდობა, ეპიდემია, პანდემია, აჯანყება, საბოტაჟი, ბლოკადა, საომარი მოქმედება, სამოქალაქო ომი, ომი, საქართველოს კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებები (ფორს-მაჟორული გარემოებები). „მხარე" რომელსაც შეეხება ამგვარი ფორს-მაჟორული გარემოებები ვალდებულია მეორე „მხარეს" გონივრულ ვადაში (მაგრამ არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა) წერილობით აცნობოს ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შესახებ.

4.5. ფორს-მაჟორული მდგომარეობ(ებ)ის დასრულებისთანავე, „მხარეები" ვალდებულნი არიან სრულად აღადგინონ (გააგრძელონ) ამ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შესრულება. „მხარეები" თანხმდებიან, რომ თუკი ამგვარი ფორს-მაჟორული გარემოება გრძელდება 3 (სამი) თვეზე მეტ ხანს „დამკვეთი" უფლებამოსილია „შემსრულებლისათვის" გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება". ამასთანავე „მხარეები" თანხმდებიან, რომ „დამკვეთი" ვალდებულია „შემსრულებელს" სრულად აუნაზღაუროს „შემსრულებლის" მიერ „ხელშეკრულების" შეწყვეტამდე ფაქტობრივად განხორციელებული და „დამკვეთის" მიერ მიღებული „მომსახურების" ღირებულება.

4.6. „შემსრულებელი" აცხადებს და ადასტურებს, რომ მას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი სახელმწიფო თუ სხვა ორგანოებისაგან მოპოვებული აქვს ყველა საჭირო უფლება, ლიცენზია, თანხმობა და აუცილებელი ნებართვა, რაც აუცილებელია მის („შემსრულებლის") მიერ ამ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული „მომსახურების" შესასრულებლად. „შემსრულებელი" ასევე ადასტურებს, რომ „დამკვეთის" მიერ მისთვის („შემსრულებლისათვის") მიწოდებული დოკუმენტაცია სრულია და საკმარისია, რათა „შემსრულებელმა" სრულად, ამ „ხელშეკრულებით" განსაზღვრულ ვადაში და დადგენილი ხარისხით გაუწიოს „დამკვეთს" ამ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული „მომსახურება".

4.7. „შემსრულებელი" „მომსახურების" გაწევისას პასუხისმგებელია და ვალდებულია განუხრელად დაიცვას არსებული შრომის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვითი და სხვა ნორმები, როგორც თავისი პერსონალის, ისევე სხვა პირთა მიმართ. „შემსრულებელი" ათავისუფლებს დამკვეთს როგორც საკუთარი, ასევე მესამე პირთა ნებისმიერი პრეტენზიის, სარჩელის, ზიანის ანაზღაურების და სხვა ნებისმიერი მოთხოვნისაგან, რომელიც გამომდინარეობს ან დაკავშირებულია „მომსახურების" გაწევისას ან გაწევის შედეგად მიღებულ ზიანთან/ზარალთან.

დამკვეთი

შემსრულებელი

## 5. მარეგულირებელი კანონმდებლობა

5.1. წინამდებარე "ხელშეკრულება" რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. ამ "ხელშეკრულებასთან" ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება გადაწყდება "მხარეებს" შორის მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ "ხელშეკრულებასთან" ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული დავის ან უთანხმოების გადაწყვეტა ვერ მოხდება "მხარეებს" შორის ამგვარი დავის ან უთანხმოების წარმოშობიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში, ნებისმიერი „მხარის" მოთხოვნით დავა განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა სასამართლოს.

## 6. საერთო პირობები

6.1. რომელიმე "მხარის" მიერ "ხელშეკრულების" მთლიანად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით სხვა "მხარეების" მიერ მათთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება "ხელშეკრულების" ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე. უფლებების ამგვარი გამოუყენებლობა ასევე არ იქონიებს გავლენას სხვა (არადამრღვევი) "მხარის" უფლებაზე "ხელშეკრულების" შემდგომ დარღვევასთან დაკავშირებით.

6.2. წინამდებარე "ხელშეკრულება", მასში გათვალისწინებული უფლებებითა და ვალდებულებებით, სრულად გავრცელდება "მხარეთა" შესაბამის სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

6.3. წინამდებარე "ხელშეკრულების" ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაკეთდეს წერილობით, ხელი მოეწეროს "მხარეთა" (ან მათი) უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

6.4. წინამდებარე "ხელშეკრულების" რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მთლიანად "ხელშეკრულების" ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ "ხელშეკრულებით" (და მათ შორის, ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

6.5. წინამდებარე "ხელშეკრულების" დანართები წარმოადგენენ „ხელშეკრულების" განუყოფელ ნაწილს.

6.6. წინამდებარე "ხელშეკრულების" საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებულ დამატებით შეთანხმებებსა და სხვა ხელშეკრულებებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც არის დადებული ამგვარი შეთანხმება, თუ სხვა ხელშეკრულება.

6.7. წინამდებარე "ხელშეკრულება" შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და სათითაოდ გადაეცემა „მხარეებს".

„დამკვეთის" სახელით,

დ. [illegible]

"შემსრულებლის" სახელით,

[illegible]. წიქარიშვილი

დამკვეთი

შემსრულებელი

მიღება-ჩაბარების აქტი
(2013 წლის 25 ივლისის ხელშეკრულებაზე)

ქ. თბილისი "31" ივლისი 2013 წელი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს **„მშენ-ექსპერტი"** („შემსრულებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის *მალხაზ წიქარიშვილის* მიერ და მეორეს მხრივ **შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია"** (შემდგომში „დამკვეთი") წარმოდგენილი მინდობილი პირის *დავით უშვერიძის* მიერ

ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს და ვადასტურებთ, რომ შემსრულებლის მიერ შესრულებულია 2013 წლის "25" ივლისის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება: *ნავთობ-პროდუქტების საცავის (რომელიც განთავსებულია „დამკვეთის" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქ. ბათუმში, ურეხი, ხახულის ქუჩა 7-11) დემონტაჟის პროექტის ექსპერტიზა.*

ანაზღაურება სამუშაოს შესრულებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია თანხით *1 180* (ერთი ათას ასოთხმოცი) *ლარი დღგ-ს ჩათვლით.*

არ არსებობს ურთიერთპრეტენზიები შესრულებულ სამუშაოზე.
ეს აქტი შედგენილია ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებთან.

| | |
|---|---|
| ჩააბარა | მიიღო |
| შემსრულებელი: | დამკვეთი: |
| შპს „მშენ-ექსპერტი"-ს | შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია"-ს |
| დირექტორი: | მინდობილი პირი: |
| *მ. წიქარიშვილი* | *დ. უშვერიძე* |

## მომსახურების ხელშეკრულება

წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) დადებულია 2013 წლის 06 აგვისტო.

| | |
|---|---|
| შპს სან პეტროლეუმ ჯორჯია (შემდგომში „დამკვეთი“)<br>იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 34, მე-6 სართული;<br>საიდენტიფიკაციო კოდი: 404391136 ;<br>წარმოდგენილი მისი უფლებამოსილი პირის დავით უშვერიძის სახით | შპს „ბილდ-ექსპერტი“ (შემდგომში „შემსრულებელი“)<br>იურიდიული მისამართი: თბილისი, ნისტეს ქ., № 28<br>საიდენტიფიკაციო კოდი: 200266559<br>ბანკი: სს საქართველოს ბანკი<br>ა.ა. GE91BG 00 0000 0252 9387 00<br>წარმოდგენილი მისი დირექტორის, მალხაზ წიკარიშვილის პირ |

(ცალ-ცალკე „დამკვეთი“ და „შემსრულებელი“ მოიხსენიებიან, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად, როგორც „მხარეები“)

### 1. „ხელშეკრულების“ საგანი და „მომსახურების“ გაწევა

1.1. წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე და მისი პირობების გათვალისწინებით, „შემსრულებელი“ კისრულობს ვალდებულებას, უზრუნველყოს ავტოგასამართი სადგურის (რომელიც განთავსებულია „დამკვეთის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქ. ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქ. #26-ში) შენობა-ნაგებობების მდგრადობის ტექნიკური მდგომარეობის ექსპერტიზა და შესაბამისობა არსებულ პროექტთან (შემდგომში „მომსახურება“). ექსპერტიზის შედეგად, „შემსრულებელმა“ უნდა წარუდგინოს „დამკვეთს“ შესაბამისი დასკვნა.

1.2. „შემსრულებელი“ ვალდებულია „მომსახურების“ გაწევა დაასრულოს არაუგვიანეს 2013 წლის 16 აგვისტოსა („მომსახურების გაწევის ვადა“). „შემსრულებლის“ მიერ „მომსახურების გაწევის ვადის“ დარღვევად არ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც „მომსახურების“ გაწევა ვერ ხერხდება „დამკვეთის“ ან და შესაბამისი პროექტის ავტორ(ებ)ის ბრალით. ასეთ შემთხვევაში, „მომსახურების გაწევის ვადა“ გაიზრდება „მომსახურების“ გაწევის შეფერხების დღეების პროპორციულად.

### 2. „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადა და ანგარიშსწორების წესი

2.1. წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს „მხარეთა“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

2.2. წინამდებარე „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „მომსახურების“ შესრულებისათვის, „დამკვეთი“ „შემსრულებელს“ უხდის ანაზღაურებას (შემდგომში „ანაზღაურება“) 1400 (ათას ოთხასი) ლარის ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით.

2.3 „ანაზღაურება“ გადაიხდება „მომსახურების“ სრულად გაწევის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ორმხრივად ხელმოწერისა და „შემსრულებლის“ მიერ შესაბამისი ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში.

2.4. „ანაზღაურების“ გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, „შემსრულებლის“ მიერ წარმოდგენილი საბანკო ანგარიშის მიხედვით. „ანაზღაურების“ ოდენობა გაზრდას არ ექვემდებარება.

### 3. „მხარეთა“ უფლება-მოვალეობები

3.1. „დამკვეთი“ ვალდებულია:

3.1.1. უზრუნველყოს შესაბამისი „ანაზღაურების“ გადახდა ამ „ხელშეკრულების“ მეორე მუხლის დებულებების შესაბამისად.

3.1.2. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები.

3.2. „შემსრულებელი“ ვალდებულია:

3.2.1. „მომსახურება“ გასწიოს სრულად და „ხელშეკრულებით“ განსაზღვრულ ვადებში.

3.2.2. შეასრულოს „მომსახურება “მხოლოდ იმ პირობით, რომ ამგვარი "მომსახურება" იქნება უნაკლო (ნივთობრივად და უფლებრივად) და თავისუფალი ყოველგვარი ვალდებულებებისაგან.

3.2.3. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ამ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებები.

3.2.4. „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული სამუშაოების შესრულების პერიოდში უზრუნველყოს „მომსახურების“ უშუალოდ შემსრულებელ პირთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა ან/და თვითონ უზრუნველყოს და აიღოს სრული პასუხისმგებლობა ასეთ პირთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხელყოფაზე და მისგან გამომდინარე ნებისმიერ ზიანზე თუ ზარალზე, როგორც სამუშაოთა შემსრულებლის ისე „დამკვეთის“ ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიმართ.

3.3. „დამკვეთი“ უფლებამოსილია:

3.3.1. „მომსახურების“ შესრულების პერიოდში შეამოწმოს „მომსახურების“ გაწევის მიმდინარეობა და მიიღოს ყველა საჭირო ინფორმაცია „მომსახურების“ მიმდინარეობის შესახებ. ასევე გამოყოს პასუხისმგებელი პირი „მომსახურების“ დასრულებისას შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გასაფორმებლად.

3.3.2. ხელი არ მოაწეროს „მომსახურების“ მიღება-ჩაბარების აქტს იმ შემთხვევაში, თუ „მომსახურება“ ან/და „მომსახურების“ ხარისხი არ შეესაბამება „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ პირობებს.

3.3.3. წინასწარი წერილობითი შეტყობინებით ვადამდე შეწყვიტოს „ხელშეკრულება,“ თუ „შემსრულებლის“ მიერ „მომსახურების“ შესრულების გრაფიკი ან/და ფაქტიურად შესრულებული „მომსახურება“ არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ პირობებს ან/და არ იძლევა მისი ვადაში შესრულების რეალურ საფუძველს. ასეთი შეწყვეტის შემთხვევაში, „დამკვეთი“ ვალდებულია

დამკვეთი | შემსრულებელი

„შემსრულებელს" სრულად აუნაზღაუროს „შემსრულებლის" მიერ „ხელშეკრულების" შეწყვეტამდე ფაქტობრივად განხორციელებული და „დამკვეთის" მიერ მიღებული „მომსახურების" ღირებულება

3.3.4. გამოიყენოს „ხელშეკრულებით" და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

3.4. „შემსრულებელი" უფლებამოსილია:

3.4.1. გამოიყენოს ამ „ხელშეკრულებით" და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

## 4. მხარეთა პასუხისმგებლობა და გარანტიები

4.1. "შემსრულებლის" მიერ "ხელშეკრულებაში" განსაზღვრული ვადი(ებ)ის დარღვევის ან/და "მომსახურების" არასრულად მიწოდების შემთხვევაში, „დამკვეთი" უფლებამოსილია "შემსრულებელს" დააკისროს პირგასამტეხლო "ანაზღაურების" 0.1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, ხოლო თუ ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდა 2 კვირის განმავლობაში „დამკვეთი" უფლებამოსილია "შემსრულებლის" წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს ფაქტიურად გადახდილი თანხების სრულად დაბრუნება. ამასთანავე, "მომსახურების" გაწევის ვადის დარღვევის ან/და არასრულად მიწოდების შემთხვევაში "დამკვეთი" უფლებამოსილია "შემსრულებელს" „ანაზღაურებიდან" გამოუქვითოს შესაბამისი პირგასამტეხლოს თანხები. პირგასამტეხლოს გადახდა "შემსრულებელს" არ ათავისუფლებს "ხელშეკრულებით" ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან

4.2. "მხარეები" თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ "მომსახურების" ხარისხი არ შეესაბამება წინამდებარე "ხელშეკრულებით" (მისი დანართებით) განსაზღვრულ და ზოგადად ამგვარი "მომსახურებისათვის" აღიარებულ ტექნიკურ და სხვა ნორმებს, "შემსრულებელი" "დამკვეთის" წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად ვალდებულია საკუთარი ხარჯით გამოასწოროს ამგვარი შეუსაბამობა დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

4.3. „მხარეები" თანხმდებიან, რომ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული პირგასამტეხლო(ები)ს დაკისრება წარმოადგენს „მხარის" უფლებას და არა ვალდებულებას დამრღვევი „მხარის" მიმართ. „ხელშეკრულებით" განსაზღვრული პირგასამტეხლო(ები)ს მიღების უფლება მეორე „მხარისათვის" მოპოვებულად ითვლება და შესაბამისი თანხა ექვემდებარება გადახდას, დამრღვევი „მხარისათვის" წინასწარი წერილობითი მოთხოვნის წარდგენის შემდგომ; ამასთან პირგასამტეხლოს ოდენობის დარიცხვა განხორციელდება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მიუხედავად წერილობითი მოთხოვნის გაგზავნის თარიღისა.

4.4. „მხარეები" თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა/არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით/გარემოებებით, რომელთა დადგომისას/არსებობისას „მხარე", მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მოკლებული იყო შესაძლებლობას ჯეროვნად შეესრულებინა ამ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებები. აღნიშნულ დაუძლეველ გარემოებებს განეკუთვნება (მაგრამ არ შემოიფარგლება): ყველა სახის სტიქიური უბედურება მიწისძვრა, წყალდიდობა, ეპიდემია, პანდემია, აჯანყება, საბოტაჟი, ბლოკადა, საომარი მოქმედება, სამოქალაქო ომი, ომი, საქართველოს კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებები (ფორს-მაჟორული გარემოებები). „მხარე" რომელსაც შეექმნება ამგვარი ფორს-მაჟორული გარემოებები ვალდებულია მეორე „მხარეს" გონივრულ ვადაში (მაგრამ არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა) წერილობით აცნობოს ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შესახებ.

4.5. ფორს-მაჟორული მდგომარეობ(ებ)ის დასრულებისთანავე, „მხარეები" ვალდებულნი არიან სრულად აღადგინონ (გააგრძელონ) ამ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შესრულება. „მხარეები" თანხმდებიან, რომ თუკი ამგვარი ფორს-მაჟორული გარემოება გრძელდება 3 (სამი) თვეზე მეტ ხანს „დამკვეთი" უფლებამოსილია „შემსრულებლისათვის" გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება". ამასთანავე „მხარეები" თანხმდებიან, რომ „დამკვეთი" ვალდებულია „შემსრულებელს" სრულად აუნაზღაუროს „შემსრულებლის" მიერ „ხელშეკრულების" შეწყვეტამდე ფაქტობრივად განხორციელებული და „დამკვეთის" მიერ მიღებული „მომსახურების" ღირებულება.

4.6. „შემსრულებელი" აცხადებს და ადასტურებს, რომ მას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი სახელმწიფო თუ სხვა ორგანოებისაგან მოპოვებული აქვს ყველა საჭირო უფლება, ლიცენზია, თანხმობა და აუცილებელი ნებართვა, რაც აუცილებელია მის („შემსრულებლის") მიერ ამ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული „მომსახურების" შესასრულებლად. „შემსრულებელი" ასევე ადასტურებს, რომ „დამკვეთის" მიერ მისთვის („შემსრულებლისათვის") მიწოდებული დოკუმენტაცია სრულია და საკმარისია, რათა „შემსრულებელმა" სრულად, ამ „ხელშეკრულებით" განსაზღვრულ ვადაში და დადგენილი ხარისხით გაუწიოს „დამკვეთს" ამ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული „მომსახურება".

4.7. „შემსრულებელი" „მომსახურების" გაწევისას პასუხისმგებელია და ვალდებულია განუხრელად დაიცვას არსებული შრომის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვითი და სხვა ნორმები, როგორც თავისი პერსონალის, ისევე სხვა პირთა მიმართ. „შემსრულებელი" ათავისუფლებს დამკვეთს როგორც საკუთარი, ასევე მესამე პირთა ნებისმიერი პრეტენზიის, სარჩელის, ზიანის ანაზღაურების და სხვა ნებისმიერი მოთხოვნისაგან, რომელიც გამომდინარეობს ან დაკავშირებულია „მომსახურების" გაწევისას ან გაწევის შედეგად მიღებულ ზიანთან/ზარალთან.

დამკვეთი

შემსრულებელი

## 5. მარეგულირებელი კანონმდებლობა

5.1. წინამდებარე "ხელშეკრულება" რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. ამ "ხელშეკრულებასთან" ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება გადაწყდება "მხარეებს" შორის მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ "ხელშეკრულებასთან" ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული დავის ან უთანხმოების გადაწყვეტა ვერ მოხდება "მხარეებს" შორის ამგვარი დავის ან უთანხმოების წარმოშობიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში, ნებისმიერი „მხარის" მოთხოვნით დავა განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა სასამართლოს.

## 6. საერთო პირობები

6.1. რომელიმე "მხარის" მიერ "ხელშეკრულების" მთლიანად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით სხვა "მხარეების" მიერ მათთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება "ხელშეკრულების" ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე. უფლებების ამგვარი გამოუყენებლობა ასევე არ იქონიებს გავლენას სხვა (არადამრღვევი) "მხარის" უფლებაზე "ხელშეკრულების" შემდგომ დარღვევასთან დაკავშირებით.

6.2. წინამდებარე "ხელშეკრულება", მასში გათვალისწინებული უფლებებითა და ვალდებულებებით, სრულად გავრცელდება "მხარეთა" შესაბამის სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

6.3. წინამდებარე "ხელშეკრულების" ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაკეთდეს წერილობით, ხელი მოეწეროს "მხარეთა" (ან მათი) უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

6.4. წინამდებარე "ხელშეკრულების" რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მთლიანად "ხელშეკრულების" ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ "ხელშეკრულებით" (და მათ შორის, ბათილი დებულებით) გათვალი ჩნინებული მიზანი.

6.5. წინამდებარე "ხელშეკრულების" დანართები წარმოადგენენ „ხელშეკრულების" განუყოფელ ნაწილს.

6.6. წინამდებარე "ხელშეკრულების" საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებულ დამატებით შეთანხმებებსა და სხვა ხელშეკრულებებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც არის გაფორმებული ამგვარი შეთანხმება, თუ სხვა ხელშეკრულება.

6.7. წინამდებარე "ხელშეკრულება" შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და სათითაოდ გადაეცემა „მხარეებს".

„დამკვეთის" სახელით,

დ. უმეკერიძე

„შემსრულებლის" სახელით,

მ. წიკარიშვილი

დამკვეთი

შემსრულებელი

მიღება-ჩაბარების აქტი
(2013 წლის 06 აგვისტოს ხელშეკრულებაზე)

ქ. თბილისი "16" აგვისტო 2013 წელი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს „მშენ-ექსპერტი" („შემსრულებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის *მალხაზ წიქარიშვილის* მიერ და მეორეს მხრივ **შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია"** (შემდგომში „დამკვეთი") წარმოდგენილი მინდობილი პირის *დავით უშვერიძის* მიერ

ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს და ვადასტურებთ, რომ შემსრულებლის მიერ შესრულებულია 2013 წლის "06" აგვისტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება: ***ავტოგასამართი სადგურის (რომელიც განთავსებული „დამკვეთის" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქ. ამბროლაური ვაჟა-ფშაველას ქ. №26-ში) შენობა-ნაგებობების მდგრადობის ტექნიკური მდგომარეობის ექსპერტიზა და შესაბამისობა არსებულ პროექტთან.***

ანაზღაურება სამუშაოს შესრულებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია თანხით ***1 400*** (ერთი ათას ოთხასი) ***ლარი დღგ-ს ჩათვლით.***

არ არსებობს ურთიერთპრეტენზიები შესრულებულ სამუშაოზე.
ეს აქტი შედგენილია ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებთან.

ჩააბარა
შემსრულებელი:
შპს „მშენ-ექსპერტი"-ს
დირექტორი:
*მ. წიქარიშვილი*

მიიღო
დამკვეთი:
შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია"-ს
მინდობილი პირი:
*დ. უშვერიძე*

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №60

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2013 წლის „16“ „აგვისტოს“ ქ.თბილისში

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის № 9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მოთხოვნათა შესაბამისად, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით. (SPA 130016498) (CPV – 71300000; 71320000;)
**ერთის მხრივ** გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (შემდგომში შემსყიდველი) უფროსის ირაკლი მუკნიაშვილის სახით, მისამართი: ქ.თბილისი, გ. გულუას ქ. № 6, ს/კ 206351758, ტელ: 727275. 595000444; საბანკო რეკვიზიტები: ცენტრალური ხაზინა, სახაზინო კოდი 3802, **ხოლო მეორეს მხრივ** შ.პ.ს. „მშენ-ექსპერტი“ (შემდგომში **მიმწოდებელი**) მისი დირექტორის მალხაზ წიქარიშვილის სახით. **მისამართი:** ქ. თბილისი, ნოსტეს ქ. №28. ს/კ 200266559. **ტელ:** 599730215; 790730215. **საბანკო რეკვიზიტები:** ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: BAGAGE22, ა/ა GE72BG0000000252938700. ვდებთ წინამდებარს ხელშეკრულებას შემდეგზე:

## *1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება*

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება გამარტივებული ელექტრონულ ტენდერში და ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## *2. ხელშეკრულების საგანი*

2.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად განახორციელოს შემსყიდველის ობიექტის (ქ. მცხეთა, სამხედრო ქუჩა №5 საკადასტრო კოდი 72.07.04.167) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (დანართი №1-ის (ტექნიკური დავალებისა და ფასების ცხრილის) შესაბამისად) (შემდგომში მომსახურება) ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერილობა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც წარმოადენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## *3. მომსახურების ღირებულება*

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **7500 (შვიდი ათას ხუთასი)** ლარს.
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

## *4. მომსახურების მიღება-ჩაბარება*

4.1 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის წარმომადგენილის მხრიდან ხელმოწერის შემდეგ.
4.2 მომსახურების მიღების დამადასტურებელ დოკუმენტაციას აფორმებენ მხარეთა უფლებამისილი წარმომადგენლები, შემოწმებული ობიექტების რაოდენობის მიხედვით.
4.3 მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისგან ფაქტიურად განხორციელებული მომსახურებისათვის.

## *5. მომსახურების განხორციელების ვადები და ადგილი*

5.1 მომსახურება უნდა განხორციელდეს ერთჯერადად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში.
5.2 მომსახურების გაწევა განხორციელდება შემსყიდველის მისამართზე: ქ. მცხეთა სამხედრო ქუჩა №5.

## *6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს დროულად, ხარისხიანად ამ ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ანაზღაურება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
6.3 შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიური მომსახურეობის განხორციელებისათვის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
6.4 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვას მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.
6.5 შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების განუხრელი შესრულება.
6.6 მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს მომსახურების ხარისხის შემოწმება/კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს შესაბამის უფლებამოსილ პირს და თუ ამ

რიოდში აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) მომსახურება მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს
ხარვეზი, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.
6.7 მომსახურების შესრულება დასტურდება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით.
6.10 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს, გაწეული
მომსახურების შემოწმებას და მიღებას ახორციელებენ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

### *7. გარანტია*

7.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ განხორციელებული მომსახურება იქნება ხარისხიანი და შეესაბამება
ხელშეკრულების და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

### *8. ანგარიშსწორება*

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, ფაქტიურად,
სრულფასოვნად და ჯეროვნად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ
საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის და მიღება-ჩაბარების აქტის შემსყიდველისათვის წარდგენიდან 30 (ოცდაათი)
კალენდარული დღის განმავლობაში.
8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარებში.

### *9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა*

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ
ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის
აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს
შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის
პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით
გათვალისწინებული შემთხვევებისა.
9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით,
რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### *10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება*

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს,
რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს
მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი
მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს
თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან
ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს
ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

### *11. მხარეთა პასუხისმგებლობა*

11.1 მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს ამ
ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ვადების დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულების მთლიანი
ღირებულების 1 (ერთი) პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
11.2 იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი ცალმხრივად და დაუსაბუთებლად (გარდა საქართველოს მოქმედი
კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა) გაზრდის მომსახურების ფასს შემსყიდველს უფლება აქვს
გაწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების
მთლიანი ღირებულების 10 (ათი) პროცენტის ოდენობით.
11.3 მხარეები თანხმდებიან, რომ თუ მიმწოდებელი მომსახურების მიწოდებისათვის ამ ხელშეკრულებით დადგენილ
ვადას გადააცილებს 10 (ათი) კალენდარული დღით, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაგადაცილებული
დღეებზე დაკისრებული პირგასამტეხლოსთან ერთად დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების
მთლიანი ღირებულების 10 (ათი) პროცენტის ოდენობით და გაწყვიტოს ხელშეკრულება.
11.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.

### *12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო*

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის
ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
12.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ
შეუძლია განახორციელოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;
12.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე
ვალდებულება.
12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი
ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
12.3.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ
უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
12.3.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
12.3.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

### *13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი*

13.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ მომსახურების განხორციელებისას, განახორციელოს კონტროლი. კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის წარმომადგენლები: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ფინანსური სამსახურის ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი მიხეილ ბედოიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი თეიმურაზ სულხანიშვილი და ამავე სამსახურის უფროსი სპეციალისტი ვლადიმერ შარაშიძე (შემდგომში „ინსპექტირების ჯგუფი").

13.2 ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

13.2.1 გაუწიოს კონტროლი მომსახურების განხორციელების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

13.2.2 დაადგინოს შესაბამება, თუ არა განხორციელებული მომსახურება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

13.2.3 უზრუნველყოს განხორციელებული მომსახურების მიღება.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### *14. ფორს-მაჟორი*

14.1 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

14.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

### *15. სადაო საკითხების გადაწყვეტა*

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

15.3 პირობები რომლებიც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით მიიღება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### *16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

16.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16.2 მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება ქართულ ენაზე, სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
| --- | --- |
| ირაკლი მუკნიაშვილი | ალხაზ წიქარიშვილი |
| დეპარტამენტის უფროსი | შ.პ.ს. „მშენ-ექსპერტი"-ს დირექტორი |

დანართი № 1

## ტექნიკური დავალება

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: მის სარგებლობაში არსებობის ვადით არსებულ, ქ. მცხეთაში სამხედრო ქუჩა №5-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი 72.07.04.167) 1068კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე და მასზე განლაგებულ ორსართულიანი შენობზე (საერთო ფართი 411 მ²) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, კერძოდ:

- არსებული და სარემონტო სამუშაოების არქიტექტურული პროექტის მომზადება, მათ შორის ფასადების რენდერების და ინტერიერის ფრაგმენტული რენდერების წარმოდგენა;
- საინჟინრო ნაწილის (ელექტროობა, სუსტი დენები, სახანძრო სიგნალიზაია, გათბობა, შიდა წყალ-კანალიზაცია, გარე კანალიზაციის სისტემის პროექტის და ანტისეპტიკის მოწყობა) პროექტის მომზადება;
- სარემონტო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტის მომზადება;
- ეზოს კეთილმოწყობის პროექტის მომზადება (რენდერის წარმოდგენა);
- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

## გასაწევი მომსახურების ფასების ცხრილი

| № | დასახელება | მომსახურების ღირებულება |
|---|---|---|
| 1 | სარემონტო სამუშაოების არქიტექტურული პროექტის მომზადება | 3200.00 |
| 2 | საინჟინრო ნაწილის პროექტის მომზადება | 2500.00 |
| 3 | სარემონტო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტის მომზადება; | 300.00 |
| 4 | ეზოს კეთილმოწყობის პროექტის მომზადება | 1000.00 |
| 5 | სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება | 500.00 |
| | სულ ჯამი | 7500.00 |

„შემსყიდველი"

ირაკლი მუკნიაშვილი

დეპარტამენტის უფროსი

„მიმწოდებელი"

მალხაზ წიქარიშვილი

შ.პ.ს. „მშენექსპერტი"-ს დირექტორი

# მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.თბილისი „ 05 " „ სექტემბერი " 2013 წ.

ერთის მხრივ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ფინანსური სამსახურის უფროსის ლაშა კაკაურიძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ შ.პ.ს. „მშენ ექსპერტი" მისი გენერალური დირექტორის მალხაზ წიქარიშვილის სახით, ვაფორმებთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2013 წლის 16 აგვისტოს № 60 ხელშეკრულების, ამავე ხელშეკრულების დანართის შესაბამისად და 2013 წლის 05 სექტემბრის ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, ხელშეკრულების პირობების დაცვით, მ.წიქარაშვილმა განახორციელა ქ.მცხეთაში, სამხედრო ქუჩა № 5 -ში მდებარე შენობის (საკადასტრო კოდი 72,07,04,167) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ტექნიკური დავალებისა და ფასების ცხრილი), რომლის ღირებულება შეადგენს 7500,00 (შვიდიათასხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარს, ხოლო ლ.კაკაურიძემ ჩაიბარა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტაცია.

რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით.

| | |
|---|---|
| ჩავიბარე | ჩავაბარე |
| ლაშა კაკაურიძე | მალხაზ წიქარიშვილი |
| ფინანსური სამსახურის უფროსი | შ.პ.ს. „მშენ-ექსპერტი"-ს დირექტორი |

## ხელშეკრულება № 27/13

ქ. თბილისი "22" აგვისტო 2013 წ

ერთი მხრივ მოქალაქე *მალხაზ კაპანაძე* (პ/ნ: 01021001293) (შემდგომში „დამკვეთი"), ხოლო მეორე მხრივ შპს **„მშენ-ექსპერტი"** (საიდენტიფიკაციო კოდი: 200266559) (შემდგომში „შემსრულებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის, ***მალხაზ წიქარიშვილის*** მიერ გამოხატავენ კეთილ ნებას ითანამშრომლონ და დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დამკვეთის დავალების/დაკვეთის საფუძველზე შემსრულებლის მიერ მომსახურების გაწევა.
1.1. პუნქტში აღნიშნული მომსახურება გულისხმობს *მცხეთა სოფელი ძველი ქანდაში მდებარე მიწის ნაკვეთზე საკალმახე მეურნეობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.*

1.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან. მომსახურება შემსრულებელმა უნდა შეასრულოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან მიმდინარე **წლის "16" სექტემბრის** ჩათვლით.

### მუხლი 2. ანგარიშსწორების პირობები

2.1. მომსახურების სრულყოფილი გაწევისათვის დამკვეთი შემსრულებელს გადაუხდის სახელშეკრულებო თანხას, რომელიც განისაზღვრება *700 (შვიდასი) ლარით დღგ-ს ჩათვლით.*

2.2. სახელშეკრულებო თანხის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში, ლარში, შემსრულებლის კუთვნილ საბანკო რეკვიზიტებზე, რომელიც მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლში.

2.3. სახელშეკრულებო თანხის გადახდა უნდა მოხდეს წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის და/ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სათანადო ფინანსური დოკუმენტის საფუძველზე 5 სამუშაო დღის ვადაში.

2.4. დამკვეთის მხრიდან 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის გამო, შემსრულებელი უფლებამოსილია მოთხოვოს დამკვეთს პირგასამტეხლოს გადახდა სახელშეკრულებო თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

### მუხლი 3. მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობები

*შემსრულებელი:*

3.1. შემსრულებელი დამკვეთის დავალების/დაკვეთის საფუძველზე ვალდებულია გაუწიოს დამკვეთს 1 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება, რომელიც უნდა იყოს შესრულებული პროფესიონალურად, საქართველოს კანონმდებოლობისა და ამ ხელშეკრულების ნორმების დაცვით.

3.2. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს გადასცეს პროექტი ალბომის სახით (2 ეგზემპლიარი).

3.3. შემსრულებელი ვალდებულია შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ცვლილებები შეიტანოს დასკვნაში.

*დამკვეთი:*

3.4. დამკვეთი თავის მხრივ ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს სახელშეკრულებო თანხა მე-2 მუხლით. გათვალისწინებული ვადებითა და ოდენობით.

3.5. დამკვეთი უფლებამოსილია შეატყობინოს შემსრულებელს იმ მოსალოდნელი პრობლემების შესახებ, რამაც შესაძლოა დააბრკოლოს დამკვეთი სახელშეკრულებო თანხის გადახდისაგან.

## მუხლი 4. საგარანტიო პირობები

4.1. შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ სახელშეკრულებო საგანი იქნება შესრულებული პროფესიონალურად და დათქმულ ვადებში.

4.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი აჭიანურებს მომსახურების განხორციელებას და ირღვევა სახელშეკრულებო ვადები, დამკვეთი უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და ასევე მოსთხოვოს შემსრულებელს პირგასამტეხლოს გადახდა სახელშეკრულებო თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.3. თუ შემსრულებლის მიერ მომსახურების გაწევა დაგვიანდა 1 (ერთ) კალენდარულ კვირაზე მეტი ვადით, დამკვეთი პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნის გარდა უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება ხელშეკრულების მოშლისათვის დადგენილი ვადების დაცვის გარეშე.

## მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი ვადამდე ადრე მოშლის პირობები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება არის ერთჯერადი ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ***2013 წლის "16" სექტემბრის ჩათვლით.*** წინამდებარე ხელშეკრულება ავტომატურად წყდება მხარეთა მიერ აღნიშნული ვალდებულებების შესრულებისთანავე.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულება კონფიდენციალურობის დაცვის პუნქტში გრძელდება ამავე პუნქტში მითითებული ვადის გათვალისწინებით. დაუშვებელია კონფიდენციალურობის ვალდებულების დაცვისთვის დადგენილი ვადის ვადემდე შეწყვეტა.

5.3. ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შემთხვევაში უნდა შედგეს წერილობითი დოკუმენტი, სადაც მხარეები თავიანთი ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით წერილობითი ფორმით დააფიქსირებენ მათ მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების/შეუსრულებლობის შესახებ, ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს და ასეთი ფაქტის დადგომის ნამდვილობას და ძალაში შესვლას.

## მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. მხარეები კისრულობენ პასუხისმგებლობას დროულად შეასრულონ ნაკისრი მოვალეობები და აღნიშნული მოვალეობების შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ერთმანეთის წინაშე პასუხი აგონ წინამდებარე ხელშეკრულების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. მხარეები თავსუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ ადგილი აქვს ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მოვლენებს.

## მუხლი 7. კონფიდენციალურობა

7.1. შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას და არ გაახმაუროს წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული ინფორმაცია (როგორც კომერციული ისე არაკომერციული).

7.2. შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა და არ გაახმაუროს კონფიდენციალური/კომერციული ინფორმაცია მაშინაც კი თუ ის შეწყვიტავს დამკვეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობას.

## მუხლი 8. ფორს მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივი ან სრული შეუსრულებლობისათვის, თუ ის იყო გამოწვეული გადაულახავი გარემოებებით – ხანძრით, წყალდიდობით, მიწისძვრით, ქარიშხლით, გრიგალით და სხვა ბუნებრივი სტიქიური მოვლენებით; ომით, სამოქალაქო დაუმორჩილებლობით, რევოლუციით,

აჯანყებით, ელექტროენერგიის მასობრივი გათიშვით ან სხვა ისეთი მოვლენებით, რომლებმაც უშუალოდ იმოქმედეს ამ ხელშეკრულების შესრულებაზე.

8.2. შესრულების ვადა გადაიდება იმ დროით, რის განმავლობაშიც მოქმედებენ ეს გარემოებები.

## მუხლი 9. სხვა პირობები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე.

## მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

<u>დამკვეთი</u>

მოქალაქე: მალხაზ კაპანაძე
მის: –
პირადი ნომერი: 01021001293
ID ბარათის ნომერი: 11IB87514

*მალხაზ კაპანაძე* ხელმოწერა

<u>შემსრულებელი</u>

შპს „მშენ-ექსპერტი"
მის: ქ. თბილისი, ნოსტეს ქ. №28
საიდენტიფიკაციო კოდი: 200266559
ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE91BG0000000252938700
დირექტორი:

*მალხაზ წიქარიშვილი* ხელმოწერა
ბ.ა.

მიღება-ჩაბარების აქტი 27/13

ქ. თბილისი

"10" სექტემბერი 2013 წელი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს „მშენ-ექსპერტი" (შემდგომში „შემსრულებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის *მალხაზ წიქარიშვილის* მიერ და მეორეს მხრივ მოქალაქე *მალხაზ კაპანაძე (პ/ნ: 01021001293)* (შემდგომში „დამკვეთი")

ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს და ვადასტურებთ, რომ შემსრულებლის მიერ შესრულებულია 2013 წლის "22" აგვისტოს №27/13 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები: *მცხეთა სოფელი ძველი ქანდაში მდებარე მიწის ნაკვეთზე საკალმახე მეურნეობის პროექტის მომზადება.*

ანაზღაურება სამუშაოს შესრულებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია თანხით *700* (შვიდასი) *ლარი დღგ-ს ჩათვლით.*

არ არსებობს ურთიერთპრეტენზიები შესრულებულ სამუშაოზე.

ეს აქტი შედგენილია ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებთან.

ჩააბარა

შემსრულებელი:

შპს „მშენ-ექსპერტი"-ს

დირექტორი:

_________ *მ. წიქარიშვილი*

მიიღო

დამკვეთი:

მალხაზ კაპანაძე

პ/ნ: 01021001293

_________ *მ. კაპანაძე*